

შპს „ჰობ დეველოპმენტი“ (საინდეტიფიკაციო # 402010658)

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „საგა 2012“ (საიდენტიფიკაციო ნომრით 402010658) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2015 წლის 20 თებერვალს, 2018წ.10 ოქტომბერს რეორგანიზაციის საფუძველზე მოხდა შპს „ბიზნეს სახლი“-ს გამოყოფა და შემდგომ შპს „საგა-2012“-ს შეეცვალა საფირმო დასახელება შპს „ჰობ დეველოპმენტი“-თ (შემდგომში „საზოგადოება“).

1.2. საზოგადოების საქმიანობის საგანი:

- საზოგადოება განახორციელებს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ მიმართულ საქმიანობას, რომელიც მოგების მისაღებად არის გამოიზნული;
- საქმიანობის ძირითადი საგანია საკუთარი ფართის იჯარით გაცემა;
- საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება მის მიზნებსა და ინტერესებს, და აკრძალული არ არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

1.3. საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

2.1. საზოგადოების მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად. წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი;

2.2. საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

2.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;

2.4. საზოგადოება წინა პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 01 იანვრიდან;

- 2.5. საადრიცხო პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოება იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ საზოგადოების პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ საადრიცხო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;
- 2.6. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის - 2017 წლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საზოგადოების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე;
- 2.7. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;
- 2.8. სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;
- 2.9. საზოგადოება იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება;
- 2.10. არამატერიალური აქტივი არის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ასახულია ნარჩენი ღირებულებით;
- 2.11. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება.
- 2.12. მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოთხოვნების დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - მომსახურების შემდეგ, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.

- 2.13. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;
- 2.14. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საშემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ;
- 2.15. მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი აღიარდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით და აისახება ხარჯში;
- 2.16. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახდო ანგარიშგებაში ასახული გადასახდის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);
- 2.17. საზოგადოების კაპიტალი განისაზღვრება საზოგადოების მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. პარტნიორებს შეუძლიათ გაზარდონ საზოგადოების კაპიტალის ოდენობა დამატებითი შენატანებით და საზოგადოებაში ახალი პარტნიორის მიღებით. შენატანი საზოგადოების კაპიტალში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების სახით.
- 2.18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია;
- 2.19. საზოგადოების მიერ წარმოდგენილი 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად;

შენიშვნა 5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი

დასახელება	31.12.2018წ.
ნაღდი ფული სალაროში	0
ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	2219
ფული საბანკო ანგარიშზე - აშშ დოლარი	2677
ფული საბანკო ანგარიშზე - ევრო	0
სულ ფული და ფულადი ექვივალენტი	4 896



შენიშვნა 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დასახელება	31.12.2018წ.
ანგარიშვალდებული პირი	754
სულ სავაჭრო და სხვადასხვა მოთხოვნები	754,00

შენიშვნა 7. გადახდილი ავანსები

დასახელება	31.12.2018წ.
ახალი გზა მშენებლობისკენ	3
კავკასუს ონლაინი	50
კომპანია GEOSM	11
მერა კომპანი	2
პროსერვისი	60
როიალ ბილდინგ ჯორჯია	12950
სიდო	1200
სლავა გოგუაძე	40
სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი	1099
ტელკო სისტემს	12
შპს მოურავი	280
შპს პრომეთე	3324
ჯეოფაიფ	3343
ჯორჯიან უოთერ ენდ	107
დაზღვევა	1816
სულ გადახდილი ავანსები	24 297,0

შენიშვნა 8 - ძირითადი საშუალებები

დასახელება	31.12.2018წ.	31.12.2017წ.
		4 655
მიწის ნაკვეთები	1 408 759,00	484,00
		3 199
შენობა-ნაგებობები	4 695 465,00	252,00
		1 790
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	105 218,00	114,00
		1
არამატერიალური აქტივები	2 750,00	190,00
სულ ძირითადი საშუალებები	6 212 192,00	9 646 040,00



შენიშვნა 9. სავაჭრო ვალდებულებები

დასახელება	31.12.2018წ.
ალგანი	2 525,00
აუდიტორული და საკონსულტაციო სამსახური ემჯიი	561,00
ჯორჯია	
ახალი მთვარე (მირა)	260,00
ბი ემ სი გორგია	54,00
გოი მარი და კომპანია	14,00
დემასი	37,00
ევროლაინი	213,00
ზურაბი გიორგაძე	8,00
თბილსერვის ჯგუფი	248,00
თელასი	12 334,00
ინგი-77	6,00
მეტალ ექსპო (METAL EXPO)	16,00
ომაქსი	12,00
როიალ ბილდინგ გრუპ	2 300,00
სილქნეტი	43,00
შპს პანდუსი - ჯი	177
ჰიდროიმპორტი	43
დაზღვევა	2291
სულ სავაჭრო ვალდებულებები	21 142

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს "ჰობ დეველოპმენტი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018წ. 31 დეკემბრისათვის

	შენიშვნა	2018წ.	2017წ.
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	5	4 896,00	13 273,00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	754,00	213 457,00
წინასწარ გადახდილი გადასახადები		14 327,00	10 640,00
გადახდილი ავანსები	7	24 297,00	237 020,00
სულ მიმდინარე აქტივები		44 274,00	474 390,00
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	8	4 800 683,00	4 655 484,00
დაუმთავრებელი მშენებლობა		-	3 199 252,00
მიწის ნაკვეთი		1 408 759,00	1 790 114,00
არამატერიალური აქტივები		2 750,00	1 190,00
სულ გრძელვადიანი აქტივები		6 212 192,00	9 646 040,00
სულ აქტივები		6 256 466,00	10 120 430,00
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
სავაჭრო ვალდებულებები	9	21142	103142
სასესხო ვალდებულებები		5993571	4656493
სხვა ვალდებულებები		920676	373934
მიღებული ავანსები		17051	207358
სულ ვალდებულებები		6952440	5340927
<i>საკუთარი კაპიტალი</i>			
საწესდებო კაპიტალი		25380	25380
დაუფარავი ზარალი		-721354	
გაუნაწილებელი მოგება			4754123
სულ საკუთარი კაპიტალი		(695 974,00)	4 779 503,00
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		6 256 466,00	10 120 430,00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:




2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი
მოგების ანგარიშგება

დასახელება	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	679 513,00
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1 541 540,00
სულ შემოსავალი	2 221 053,00
შრომის ანაზღაურება	197 419,00
საოფისე ინვენტარი	17 253,00
საკომუნიკაციო ხარჯი	1 482,00
კომუნალური ხარჯები	109 812,00
რემონტის ხარჯი	352,00
კომპიუტერის ხარჯი	356,00
საკონსულტაციო ხარჯი	5 369,00
ცვეთა და ამორტიზაცია	212 088,00
ქონების გადასახადი	63 300,00
მიწის გადასახადი	2 644,00
დაცვის მომსახურების ხარჯი	40 386,00
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	17 285,00
სესხის %	534 567,00
სულ საოპერაციო ხარჯი	1 202 313,00
არასაოპერაციო ხარჯები	
საქველმოქმედო ხარჯი	3 000,00
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	1 749 098,00
სულ არასაოპერაციო ხარჯი	1 752 098,00
სულ ხარჯები	2 954 411,00
საანგარიშო პერიოდის ფინანსური მოგება (ზარალი)	(733 358,00)

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს "ჰობ დეველოპმენტი"

2018წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში:	13 273,00
შემოსავალი	
ფულადი სახსრების შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	854 734,00
ფულადი სახსრების შემოსავალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	1 119 213,00
სულ შემოსავალი	1 973 947,00
გასავალი	
ფულადი სახსრების გასავალი საოპერაციო საქმიანობიდან	1723176
ფულადი სახსრების გასავალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	1 677,00
ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები	257 471,00
სულ გასავალი	1 982 324,00
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს:	4 896,00
წმინდა ცვლილება ფულად ნაკადებში	(8 377,00)

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

შპს "ჰობ დეველოპმენტ"

2018წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალში გვლილების ანგარიშგება

	საჩქედებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	25 380,00	4 754 123,00	4 779 503,00
საანგარიშო პერიოდის გვლილები/რეორგანიზაციით წილის გატანა	-	(733 358,00)	(733 358,00)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	25 380,00	(721 354,00)	(695 974,00)

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

